საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 370

20 12 წ. "06" 09

ქ. თბილისი

შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 6 სექტემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 6 სექტემბრის №11 სხდომის ოქმის მე-25 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
თეონა კუპატაძე

მდივანი
ზაქარია შველიძე